

ველოსიპედისტები უახლოვდებიან ფინიშს.

ფოტოეტიუდი ვ. სემიონოვისა.

## გვექნება საუკეთესო ბაზები

ახლახან მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის რიგგარეშე XXVIII საქალაქო კონფერენციამ, რომლის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების“ შესახებ და საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის დელეგატების არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გ. გეგეშიძე, რომელმაც ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დიდი ინტერესი და საბჭოთა ხალხის აღფრთოვანება გამოიწვია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა, რომელიც უდიდესი ისტორიული დოკუმენტია და იგი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის უზარმაზარი ორგანიზაციული მუშაობის, ყველა ჩვენი პარტიული, საბჭოთა, საგეგმო, სამეურნეო ორგანოების, დიადი სოციალისტური სამშობლოს ყველა მშრომელის შემოქმედების ნაყოფია. შემდეგომ მომხსენებელი ლაპარაკობს იმ დიდი სამუშაოების შესახებ, რომელთა შესრულება განზრახულია მომავალ შვიდწლიანი გეგმის მიხედვით. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში აიგება დიდი თბოელექტროსადგური ისეთ იაფ საწვავზე, როგორიცაა გაზი, 1965 წელს 1958 წელთან შედარებით 75-80 პროცენტით გაიზრდება სამრეწველო წარმოების დონე, განსაკუთრებით ინტენსიურად განვითარდება მანქანათმშენებელი, ელექტრომავალმშენებელი, ხელსაწყოთამშენებელი, ინსტრუმენტული და მრეწველობის სხვა დარგები, მნიშვნელოვნად გადიდდება საბინაო მშენებლობა. ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შემდგომი განვითარებისათვის გათვალისწინებულია დახარჯოს 149 მილიონი მანეთი და სხვ.

მომავალ შვიდწლედში [illegible] ლოვანი თანხაა გამოყოფილი ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის. ახალ ფიზკულტურულ-სპორტულ ნაგებობათა ასაგებად თბილისში 13 მილიონ 400 ათასი მანეთი დაიხარჯება. აიგება ორი დახურული საცურაო აუზი, ძალოსნობის კომბინატი, ნიჩბოსნობის სადგური მტკვარზე, დამთავრდება იპოდრომის, წყნეთის სპორტული ბაზის, ღია საცურაო აუზის, საჭადრაკო კლუბისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობა.

უკვე მიმდინარეობს გრანდიოზული ნაგებობის — 10 ათასი მაყურებლისათვის გათვალისწინებული სპორტის სასახლის მშენებლობა, რომელიც ექსპლოატაციაში შევა 1959-60 წლებში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის რიგგარეშე XXVIII საქალაქო კონფერენციამ აირჩია საქართველოს კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დელეგატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 149 (1319) ○ კვირა, 14 დეკემბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

## საერთაშორისო შეხვედრები

✦

### კლასიკური ჭიდაობა

მოსკოვი (ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირისა და შვეციის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული 11 დეკემბერს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლე. ათასობით მაყურებელი მოვიდა ამ ორი ქვეყნის სახელგანთქმულ მოჭიდავეთა ოსტატობის სანახავად.

ორი ქვეყნის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების მატჩის შედეგია 13:3 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

### კრივი

მოსკოვში, სპორტის სასახლეში ამ დღეებში გაიმართა ორი საერთაშორისო შეხვედრა კრივში. საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ გამოდიოდნენ უნგრეთის საუკეთესო სპორტსმენები.

პირველ დღეს საბჭოთა მოკრივეებმა ყველა ათივე შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს, სამაგიეროდ მეორე დღეს უნგრელებმა სამ წონით კატეგორიაში დაამარცხეს მოწინააღმდეგე.

ამრიგად, შეხვედრის საერთო ანგარიშია — 17:3 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

## სპარტაკიადის ახალი სახეობა, ახალი ამოცანები

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის პროგრამა შესამჩნევად გაიზარდა. დაემატა ჭადრაკი, მოტორბოლა და მაგიდის ჩოგბურთი. ამ უკანასკნელს განგებ გავუსვით ხაზი და აი რატომ.

პირველი და მთავარი: მომავალ სპარტაკიადაზე ჩოგბურთი იძლევა იმდენივე ქულას, რამდენსაც სპორტის სხვა სახეობა. მეორე: მაგიდის ჩოგბურთი შედარებით ახალი სახეობაა, ნაკლებად განვითარებული და სპეციალურ ინვენტარს მოითხოვს. ამიტომ საფუძვლიანად უნდა გადავხედოთ ამ უბანზე ჩვენს პოზიციებს.

რასაკვირველია, როცა საკითხი ასე დგას, პირველ რიგში უნდა შევეხოთ საქართველოს 1958 წლის პირად პირველობას მაგიდის ჩოგბურთში, რომელიც სულ ახლახან დამთავრდა. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან განსხვავებით, ეს ჩემპიონატი გამოირჩეოდა მონაწილეთა სიმრავლით და საერთო ტექნიკური მაჩვენებლების ზრდით. 115 მონაწილე დამაკმაყოფილებელი რიცხვია მაგიდის ჩოგბურთის განვითარების იმ ეტაპისათვის, რომელზედაც იგი ახლა იმყოფება. სპორტსმენებმა ხანთაძემ, ყუფარაძემ, გრიგოლიამ, არუთინოვმა (თბილისი), შუხმა (სოხუმი), ჩელიშევმა (ქუთაისი), თურქიამ (ბათუმი) და ბევრმა კიდევ სხვამ საკმაოდ მომწიფებული თამაში გვიჩვენეს. სასიხარულოა ისაა, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ლაგოდეხის, ბორჯომის, თელავის, ჭიათურისა და სხვა რაიონებისა და ქალაქების მაგიდის ჩოგბურთელებმა.

ნაკრები გუნდი დაკომპლექტებულია. საწვრთნელად გამოყოფილია „განთიადის“ დარბაზი. მართალია, იქ ჯერჯერობით ყველა საკითხი არ არის მოგვარებული (გათბობა, შხაპი), მაგრამ იგი უახლოეს დღეებში მოგვარდება. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ნაკრები გუნდის ოსტატობის შემდგომი ამაღლების მიზნით მეტად სასარგებლო ღონისძიების ჩატარება განიზრახა. ნაკრები გუნდი ამ დღეებში გაემგზავრება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში (სადაც მაგიდის ჩოგბურთი მეტად განვითარებულია) ადგილობრივ გუნდებთან ერთობლივი საწვრთნელი ვარჯიშებისა და შეჯიბრებათა ჩასატარებლად. ამას გარდა განზრახულია ესტონეთიდან ამ საქმის სპეციალისტის მოწვევა.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, საგრძნობია საერთო ტექნიკური ზრდა, მაგრამ ცალკეულ სპორტსმენთა ფიზიკური და ნებელობითი მომზადება მეტად დაბალია. თუ ეს დიდი ხარვეზი დროულად არ იქნა აღმოფხვრილი, რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ამიტომ ნაკრები გუნდის საწვრთნელ გეგმაში ამ ძირითად პუნქტს საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს.

როცა მაგიდის ჩოგბურთზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის დღეები. ამ დიდი შეჯიბრების პირველი დღიდან მოსწავლე სპორტსმენებმა საქართველოს დელეგაციას საჭირო ქულები მისცეს საერთო პირველ ადგილზე გასვლისათვის, ხოლო მაგიდის ჩოგბურთი კი ჩავარდა. ასეთი მდგომარეობა სეზონურობის ბრალია. ჩვენ რომ უმრავლეს სკოლაში სხვა სპორტულ ინვენტართან ერთად გვქონდეს ერთი მაგიდა მაინც, ასეთი მდგომარეობა არ გვექნებოდა.

ყველასათვის ცნობილია, რომ როგორც სპორტის სხვა სახეობაში, აქაც ძირითადი მუშაობა თბილისში მიმდინარეობს, ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ძირითადად თბილისელები არიან. ყოველივე ამის მიუხედავად დედაქალაქის მაგიდის ჩოგბურთის სექცია მთლიანად ბედის ანაბარადაა მიტოვებული, რაც ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის უყურადღებობაზე მეტყველებს. ამას გარდა საჭიროა დაისვას საკითხი ზემდგომ ორგანოებში, რათა რომელიმე საწარმომ დაამზადოს საჭირო მაგიდები და საზოგადოებებს თანხის გადარიცხვის წესით მათი შეძენის საშუალება მიეცეს.

ჩვენ სპორტის თითქმის ყველა სახეობაში გამოგვიქვეყნებია თეორიული წერილები, მწვრთნელთა შენიშვნები, მაგიდის ჩოგბურთში კი არა. აი ახლა ვთხოვთ სპორტის ამ სახეობის მესვეურებს, რომ გამოთქვან თავიანთი აზრი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე: როგორი პერსპექტივები აქვს მაგიდის ჩოგბურთს რესპუბლიკაში, როგორ მოვამზადოთ რეზერვი და როგორ მოვაგვაროთ სხვა საჭირბოროტო საკითხები.

მაგიდის ჩოგბურთელებს წილად ხვდათ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებთან ერთად იბრძოლონ რესპუბლიკის სპორტული ღირსებისათვის. ეს საპატიო ამოცანაა, რომლის განხორციელებისათვის უნდა იბრძოდეს ყოველი ჩვენგანი.

## ჩაებით ჩვენი გაზეთის კონკურსში

როგორც ცნობილია, 1959 წლის 9 იანვარს თბილისში დაიწყება საბჭოთა კავშირის XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალი. ტურნირში ჩემპიონის სახელისათვის იბრძოლებს 20 მოჭადრაკე: გროსმაისტერები: საბჭოთა კავშირის 1958 წლის ჩემპიონი მიხეილ ტალი (რიგა), მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ვასილ სმისლოვი, ტიგრან პეტროსიანი, დავით ბრონშტეინი, იური ავერბახი (მოსკოვი), პაულ კერესი (ტალინი), ეფიმ გელერი (ოდესა), ბორის სპასკი, მარკ ტაიმანოვი, ვიქტორ კორჩნოი (ლენინგრადი), საერთაშორისო ოსტატები: რატმირ ხოლმოვი (ვილნიუსი), სემიონ ფურმანი (ლენინგრადი) რაშიდ ნეჟმეტდინოვი (ყაზანი), ევგენი ვასიუკოვი (მოსკოვი), ოსტატები: ალექსანდრე ნიკიტინი, იაკობ იუხტმანი (მოსკოვი), ბუხუტი გურგენიძე (თბილისი), ანატოლი ლუტიკოვი (ჩელიაბინსკი), ნიკოლოზ კროგიუსი (ნოვოსიბირსკი) და ლევ პოლუგაევსკი (კუიბიშევი).

ჩვენი გაზეთის რედაქცია აცხადებს კონკურსს. მკითხველებმა უნდა გამოგზავნონ თავიანთი პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. ვინ იქნება ჩემპიონი?
2. დაახლოებით რამდენ ქულას მოაგროვებს ჩემპიონი?
3. ვის ექნება უკეთესი შედეგი გროსმაისტერებს შორის?
4. ვის ექნება უკეთესი შედეგი ოსტატთა შორის?
5. რომელი ოსტატი ითამაშებს ყველაზე უკეთ გროსმაისტერების წინააღმდეგ?
6. ვინ გამოვა ბოლო ადგილზე?
7. რომელ ადგილზე გასვლის შანსები აქვს ბ. გურგენიძეს?

ტურნირის დაწყებისადმი მიძღვნილ ჩვენი გაზეთის ნომერში გამოქვეყნდება შემოსული პასუხების მიმოხილვა, ხოლო ტურნირის დამთავრების შემდეგ გამოცხადდება თვითეულ შეკითხვაში გამარჯვებულთა გვარები. მათ ჯილდოთ გადაეცემათ საჭადრაკო ლიტერატურა.

პასუხები უნდა გამოიგზავნოს 1959 წლის 7 იანვრამდე მისამართით: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, „ლელოს“ რედაქციას წარწერით „საჭადრაკო კონკურსზე“.

# ხარკოვი, XX ჩემპიონატი

ხარკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). XIV ტურში დამთავრდა მხოლოდ ოთხი პარტია. ვოლპერტმა ორი პაიკის შეწირვით გაილაშქრა კუშნირის მეფის წინააღმდეგ და დაამარცხა იგი. მალინოვამ მოუგო ფილანოვსკაიას, ტიხომიროვამ — სტრანდსტრემს. როოტარე-რუბცოვას პარტია ყაიმით დამთავრდა.

ძლიერად ითამაშა კაკაბაძემ ბიკოვასთან შეხვედრაში. კაროკანის დაცვაში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონმა გაითამაშა, კაკაბაძემ იერიში მიიტანა მეფის ფრთაზე. ქართველმა მოჭადრაკემ მხედრის შეწირვით საშამათო მუქარები შეუქმნა მეტოქის მეფეს. ბიკოვამ შეტევის მოგერიების მიზნით უკან დააბრუნა მხედარი და უპაიკოდ დარჩა. პარტია გადადებულია კაკაბაძისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

* * *

XV ტურში კვლავ მხოლოდ ოთხ პარტიაში იქნა ფიქსირებული შედეგი. ვოლპერტმა დიდი ძალით ჩაატარა პარტია ბიკოვას წინააღმდეგ და მე-40 სვლაზე გაიმარჯვა. გაფრინდაშვილმა ესპანურ პარტიაში პირდაპირი იერიში მიიტანა კაკაბაძის მეფეზე და მიაღწია გამარჯვებას. ყაიმით დამთავრდა რუბცოვა-ბორისენკოს და გოიჰენბერგ-ტოგონიძის პარტიები.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. გურფინკელს მოსაგები მდგომარეობა აქვს კუშნირთან, იაკირს — მალინოვასთან, ზატულოვსკაიას — სტრანდსტრემთან. ზვორიკინას, იგნატიევასა და ნისენბოიმის ავადმყოფობის გამო მათი პარტიები არ შემდგარა.

ამრიგად, XV ტურის შემდეგ წინ არიან: ლ. ვოლპერტი — 10,5 ქულა, კ. ზვორიკინა — 9,5 ქულა, ერთი გადადებული და ერთი გამოტოვებული პარტია, ნ. გაფრინდაშვილი — 9,5 ქულა, ე. ბიკოვა — 8 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

* * *

მოგვყავს შემდგომ შეხვედრათა განრიგი.

14 დეკემბერი დასვენების დღეა.

15 დეკემბერი. XVI ტური. იგნატიევა-კუშნირი, ტოგონიძე-ჩაიკოვსკაია, როოტარე-გოიჰენბერგი, ბორისენკო-ზვორიკინა, ტიხომიროვა-რუბცოვა, ზატულოვსკაია-ნისენბოიმი, მალინოვა-სტრანდსტრემი, ფილანოვსკაია-იაკირი, გურფინკელი-ბიკოვა, ვოლპერტი-გაფრინდაშვილი. ისვენებს კაკაბაძე.

# რომელ საზოგადოებას ეკუთვნიან ისინი?

თბილისში, „ლოკომოტივის" სპორტულ დარბაზში დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის პირველობის გათამაშება კალათბურთში. მონაწილეობს 10 გუნდი. პირველი დღის შეხვედრებიდან აღსანიშნავია სამტრედიისა და სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კალათბურთელთა მატჩი. მთელი თამაში სამტრედიელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათი 30 გამარჯვებით ანგარიშით 63:50. თბილისისა და ერევნის რაისაბჭოების კალათბურთელთა მატჩში აშკარა იყო თბილისელთა უპირატესობა, რომელთაც დაამარცხეს მოწინააღმდეგე დიდი ანგარიშით — 106:33.

ჩვენი გაზეთის 9 დეკემბრის ნომერში აღნიშნული იყო, რომ სამტრედიის გუნდმა ამას წინათ მოიპოვა სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონობა. ამჟამად ეს კოლექტივი (თითქმის მთლიანად) გამოდის „ლოკომოტივის" სახელწოდებით (?!). ეს იმას მოწმობს, რომ სამტრედიის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურები ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა კალათბურთელთა აღზრდისათვის, სპორტის ამ სახეობის მასობრიობისათვის და ამან გამოიწვია ის ამბავი, რომ მათი გუნდი ხან ერთი და ხან მეორე საზოგადოების პირველობაზე მონაწილეობს.

ჩვენ არ ვიცით [illegible] ექნება სამტრედიის კოლექტივს ამ შეჯიბრებაში. ის კი ცხადია, რომ მათ შესახებ ალბად იმსჯელებენ სათანადო ორგანიზაციები.

**ლ. თუშიშვილი**

# საკავშირო შეჯიბრება გრძელდება

## კალათბურთი

სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში მიმდინარეობს უძლიერეს კალათბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოსა" და დედაქალაქის „ტრუდის" კალათბურთელ ქალთა გუნდების მატჩმა. იგი დაიწყო დინამოელთა ენერგიული შეტევებით. შესანიშნავად თამაშობდნენ მაქსიმელიანოვა და მაქსიმოვა, რომელთა ზუსტი ტყორცნებით „დინამო" წინ გავიდა 20 ქულით. მაგრამ საკმარისი იყო ჩემპიონს ოდნავ შეენელებინა ტემპი, რომ პროფკავშირელმა სპორტსმენებმა კარგად გამოიყენეს მეტოქეთა ეს შეცდომა და ხელთ იგდეს ინიციატივა. შესვენებამდე „დინამო" წინ იყო მხოლოდ სამი ქულით — 28:25. მეორე ტაიმში „ტრუდის" უპირატესობა აშკარა იყო, რომელმაც მოიგო კიდეც ეს ძნელი მატჩი — 54:48.

ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელი ვაჟთა შორის რიგის ოფიცერთა სახლის გუნდი ტალინში შეხვდა ადგილობრივი პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებს. რიგელები მოედანზე გამოვიდნენ შეცვლილი შემადგენლობით. მათ რიგებში არ იყვნენ კრუმინში, ვალდმანისი და ორივე მუიჟნიეკსი. ანგარიში თავიდანვე ესტონელებმა წაიყვანეს, მაგრამ არმიელები მალე გაერკვნენ შექმნილ ვითარებაში და შესვენებამდე წინ გავიდნენ 7 ქულით — 43:36. თამაშის მეორე ნახევარში სტუდენტებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 56:56, მაგრამ რიგელებმა კვლავ ხელთ აიღეს ინიციატივა და გაიმარჯვეს ანგარიშით 71:68.

მოგვყავს დანარჩენ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: ქალები. ლეტი (ლენინგრადი) — უსკ (ტარტუ) — 33:46, სკვო (ლენინგრადი) — უსკ (ტარტუ) — 44:52, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — უსკ (ტარტუ) — 70:62, სკვო (ლენინგრადი) — ლეტი (ლენინგრადი) — 31:48. ვაჟები. ლეტი (ლენინგრადი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ტალინი) — 86:75, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ტალინი) — 86:70, ლეტი (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) — 74:73, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ტალინი) — ვეფ-ი (რიგა) — 63:68.

* * *

თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა თავისი მორიგი მატჩი ჩაატარა ალმაატაში ადგილობრივ თანაკლუბელებთან. ორივე ტაიმში აშკარა იყო თბილისელ კალათბურთელთა უპირატესობა. მატჩი მოიგო თბილისის გუნდმა ანგარიშით 71:57.

## ჭადრაკი ქალაქებსა და რაიონებში

### ზესტაფონი

თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა რაიონის პირველობა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდა 14 მოჭადრაკე. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ი. თოლორაიამ, რომელმაც 11,5 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა თ. ჩხეიძე.

პირველობამ ცხადყო საჭადრაკო მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. მტკივნეულად იგრძნობა საჭადრაკო კლუბის უქონლობა, რაიონში არ იზრდება პერსპექტიული ახალგაზრდობა და არცაა გასაკვირი, რომ პირველობაში მხოლოდ „მოხუცები" თამაშობდნენ. არა გვაქვს საჭადრაკო ინვენტარიც.

ზესტაფონელ მოჭადრაკეებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბის ხელმძღვანელობამ.

**გ. ფორჩხიძე**

# ახალქალაქელების ღირსების საქმე

ახალქალაქს და მის რაიონს ფიზკულტურის სპეციალისტთა ისეთი მდიდარი კონტიგენტი გააჩნია, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონი ინატრებდა. თბილისისა და ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტების და სპეციალური ტექნიკუმების 22 კურსდამთავრებული მუშაობს აქ. მათ შორის მოიძებნება სპორტის თითქმის ყველა სახეობის სპეციალისტი. მიუხედავად ამ სიმდიდრისა, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა როგორც ქალაქად, ისე რაიონში თითქმის მთლიანად იყო ჩაშლილი და მისი დღევანდელი დონეც ჯერჯერობით ნაკლებად შეესაბამება ახალი, გაზრდილი მოთხოვნების დონეს.

აქ მეტად ცუდი მდგომარეობაა სპორტული ბაზების მხრივ. ახალქალაქის მეტად პრიმიტიული მძლეოსნური სექტორების არმქონე ერთადერთი სტადიონი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი და კიდევ სოფლად არსებული რამდენიმე უმგვანო „ბაზა" ოდნავადაც ვერ გაწვდება რაიონისათვის შესაფერ ნამდვილ ფიზკულტურულ მუშაობას.

რასაკვირველია, ეს გარემოება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ახალქალაქის რაიონში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის ჩამორჩენისა და მისი მოგვარების გარეშე ვერც ძნელადგადასალახავ სიძნელეებს დავაღწევთ თავს. მაგრამ იგი მთავარი, გადამწყვეტი მიზეზი მაინც არ არის.

სპორტული ბაზების საკითხის მოგვარება, ყოველ შემთხვევაში — მისი საგრძნობლად შემსუბუქება, არც ისე გადაულახავი ზღუდეა, თუ კი ესოდენ ძვირფასი კონტიგენტი — 22 სპეციალისტი, თავის ენთუზიაზმს, საქმის სიყვარულს გადასცემს ახალგაზრდობის მასებს და მათთან ხელიხელჩაკიდებით შეეჭიდება ბაზების საზოგადოებრივი წესით შექმნის კეთილშობილურ საქმეს, მაშინ დაშვებული თანხებიც გაცილებით მეტ ეფექტსა და სარგებლობას მოგვცემდა. განა ასე არ აშენდა მეზობელ ახალციხეში ისეთი რთული სპორტული ნაგებობაც კი, როგორიცაა საწყალოსნო აუზი სახტომი კოშკით?

საქმეც სწორედ ამაშია. ჩამორჩენის საფუძველიც სწორედ ამაში მდგომარეობს: წლების მანძილზე ფიზკულტურის ახალქალაქელ სპეციალისტებს აკლდათ ენთუზიაზმი, მონდომება და საქმესთან შეჭიდებაზე მეტად ფიზკულტურის კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარესთან „ჭიდილს" ეწეოდნენ, რომელიც, თავის მხრივ ნაკლებად უწყობდა ხელს კოლეგათა შორის ამ მეტად საჭირო ენთუზიაზმის, საქმის სიყვარულის გაღვივებას და ნაკლებად იყო დაინტერესებული მათი მდიდარი შესაძლებლობის გამოყენებით. ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: ხელიხელჩაკიდებული შრომისა და მონდომების ნაცვლად აქ კინკლაობა, განაწყენებისა და გულხელდაკრეფილობის ატმოსფერო იყო გაბატონებული.

ყოველივე ამის შედეგი იყო არა მარტო ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ჩაშლა ბევრ უბანზე, არამედ, ფაქტიურად, თვით სპორტული ბაზების სიღარიბეც, რომელსაც მონდომების, ენთუზიაზმის და ინიციატივის გარეშე არცერთგვარ პირობებში არ მოელება; ჩამკვდარი იყო სექციური მუშაობა; ესა თუ ის სპორტული სახეობა აქ ქაღალდზე უფრო „არსებობდა" ვიდრე სინამდვილეში; იგივე ითქმის კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებაზეც.

ცხადია. ასეთ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძლებოდა ახალქალაქის სპორტულ ცხოვრებაში შეჯიბრებათა ახალი სისტემის დანერგვაზე, ვინაიდან ძველის თვალსაზრისითაც ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო მოუგვარებელი. ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება დღესაც, როცა ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელად სულ ორი თვეა მოვიდა ახალი ადამიანი — კ. ოვანოღლიანი, ვინაიდან მას არამც თუ ახალი სისტემის, ძველებური მუშაობის თვალსაზრისითაც თითქმის სრულიად ცარიელი ადგილი დახვდა.

ამიტომ, დღესდღეობით ამოცანა „მემკვიდრეობით" მიღებული ჩამორჩენის აღმოფხვრაში მდგომარეობს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

თუმცა ორი თვე მეტად მცირე ვადაა, მაგრამ მაინც შეიძლება აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით მდგომარეობა, ნაწილობრივ მაინც, გამოსწორების გზას ადგას, რომ ფიზკულტურის მუშაკთა ძირითადი ბირთვი ამოქმედდა, მხარში ამოუდგა ახალ ხელმძღვანელს და მანამდე უყურადღებოდ, თითქმის უმოძრაოდ მიგდებულ ფიზკულტურულ საქმიანობასაც გამოცოცხლების ნიშნები დაეტყო. შეიქმნა მძლეოსნობის, ძალოსნობის, ტანვარჯიშის, კალათბურთის, ჭადრაკისა და სათხილამურო სპორტის ახალი სექციები, რომლებიც ძველისაგან განსხვავებით, მარტო ქაღალდზე აღარ არსებობენ და სისტემატურ წვრთნას გადიოდნენ ღია ცის ქვეშ, სანამ ამინდები ამის საშუალებას იძლეოდა. ქალაქელებს გამოაღწია მძლეოსანთა ასპარეზობამაც, რომლის რაიონული პირველობის II ტური ახლახან ჩატარდა ახალქალაქში. ადგილობრივი მუშაკები ძალა უფრო ენერგიულად იბრძვიან ბაზების საკითხის მოგვარებისა და საამისოდ დაშვებული თანხების ეფექტურად გამოყენებისათვის.

ცხადია, ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნიშნებია და მათზე დაბეჯითებით დაყრდნობა, მათგან დაბეჯითებული დასკვნების გაკეთება, ნაადრევია, ვინაიდან ჯერ კიდევ არ გასულა ყველი „ახალი ცოცხის" ბრძნულ ანდაზას.

ახალქალაქის ფიზკულტურულ მუშაკთა წინაშე კვლავ შეუნელებელი სიმწვავით დგას მათი ღირსების, მათი სახელის აღდგენის ამოცანა: დაძლიონ სამარცხვინო ჩამორჩენა, სრულად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი და ერთობლივი ძალებით ასწიონ ფიზკულტურული მუშაობის ჩავარდნილი საქმე; ეს ამოცანა ასევე მწვავედ დგომება მანამდე, სანამ ახალქალაქის რაიონის ფიზკულტურული ცხოვრება მოწინავე რაიონების დონეს არ გაუთანასწორდება.

მაგრამ, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ წლების მანძილზე შექმნილ რთულ, სპეციფიკურად ძნელ პირობებში ამ ამოცანას მხოლოდ ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი და ფიზკულტურის სპეციალისტები ვერ მოერევიან, თუ მათ ყოველმხრივ, საქმის სიყვარულით ნაკარნახევ დახმარებას არ გაუწევენ ფართო ფიზკულტურული აქტივი, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა ხელმძღვანელი ორგანოები. ჩავარდნილი ფიზკულტურული მუშაობის ამოწევა მათი ღირსებისა და სახელის საქმეცაა და ამიტომ, ფიზკულტურის ორგანოებთან და მუშაკებთან ერთად, ისინიც თავგამოდებით უნდა იბრძოდნენ როგორც ბაზების მტკივნეული საკითხის, სექციური და მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის მოსაგვარებლად, ისევე ამ მუშაობის ახალ რელსებზე — ახალ სისტემაზე თანდათანობითი გადასვლის უზრუნველსაყოფად.

**შ. ჯულელი,**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ლანჩხუთის „კოლმეურნეს“ ფეხბურთელები, რომლებმაც მოიპოვეს საზოგადოების ჩემპიონობა. ზევით მარცხნიდან — ბ. ჩიტაია (მწვრთნელი), შ. ბურჭულაძე, ვ. ებრალიძე, ნ. ჩხაიძე, ი. კერესელიძე, შ. კაკაბაძე, დ. მენაღარიშვილი, ლ. გორდელაძე. ქვევით — ჰ. ორაგველიძე, ნ. ნარიაშვილი, ლ. დოლიძე, თ. კვირკველია, ი. დათუნაშვილი, ლ. ლომაძე, ზ. ჯორბენაძე, ი. შარაბიძე.



# გათამაშების შედეგები

**დ. ცომაია,**
**სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში**

ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელებისა და მწვრთნელების წინაშე დგას დიდი და სერიოზული ამოცანა: ავამაღლოთ ქართული ფეხბურთის კლასი, აღვზარდოთ ტყავის ბურთის ნამდვილი ოსტატები, გამოვძებნოთ პერსპექტული, კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდობა, რომელიც შეავსებს საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების რიგებს.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა ძირითადად დამოკიდებულია მასობრივი ფეხბურთის ზრდაზე, საფეხბურთო კოლექტივებში სრულწლიური სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობათა უნარიან ორგანიზაციაზე, ყურადღებიან, გულდასმით მუშაობაზე ბავშვთა და ჭაბუკთა შორის.

სრული პირდაპირობით, დაუფარავად უნდა ითქვას, რომ ყოვლად დაუშვებელი ჩამორჩენა გვაქვს სწორედ ბავშვებთან და ჭაბუკებთან მუშაობაში. რაიონებში, ადგილებზე ძალზე მცირეა ჭაბუკთა გუნდები. შეჯიბრებები სასკოლო გუნდებს შორის ტარდება არასისტემატურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე. თითქმის არსად ბავშვთა ფეხბურთს არ ხელმძღვანელობენ კვალიფიციური მწვრთნელები და გარდა ამისა საქართველოს ქალაქებში (მათ შორის თბილისშიც) პირველობები მიმდინარეობს ბავშვთა და ჭაბუკთა გუნდების მონაწილეობის გარეშე.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტმა წელს მნიშვნელოვნად შეაფერხა მუშაობა მასობრივი ფეხბურთის მხრივ, მნიშვნელოვნად შემცირა შეჯიბრებათა რაოდენობა გასულ წლებთან შედარებით. მასობრივი ფეხბურთი ჩვენს დედაქალაქში სულ უფრო მცირე მასშტაბებს ღებულობს.

ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილი ჩვენში იმყოფება უმაღლეს სასწავლებლებში და სწორედ აქაა ფეხბურთი უაღრესად სავალალო მდგომარეობაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფეხბურთს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში არავითარი ყურადღება არ ექცევა. ეს გარემოება მით უფრო დასანანია, თუ გავიხსენებთ რა გუნდები ჰყავდა უნივერსიტეტს, პოლიტექნიკურ, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებს.

როგორ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ ჩვენი ფეხბურთის საერთო პროგრესზე, თუ სათანადო ყურადღება არ მიექცა ბავშვთა და ჭაბუკთა მომზადებას. საიდან მიიღებენ უფროსები შესაფერის რეზერვს, თუ ბავშვთა შორის არ იქნა წარმოებული სერიოზული, სისტემატური მუშაობა. ამის შესახებ ლაპარაკი ბევრია, მაგრამ ლაპარაკიდან საქმეზე გადასვლას რატომღაც არავინ არ ფიქრობს.

სხვა რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებში არ თამაშობდა არც ერთი ფეხბურთელი აჭარიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, მახარაძიდან, რუსთავიდან, გორიდან და ეს მაშინ, როცა, ვთქვათ, რუსთავში მუშაობენ გამოცდილი მწვრთნელები წარსულში საუკეთესო ფეხბურთელები ვ. ზერეკნიძე და რ. მახარაძე, ქუთაისში — უ. სალდაძე, ბათუმში — ნ. კეშელავა, მახარაძეში — ნ. გოგლიძე და სხვანი. ცხადია, ეს მწვრთნელები დაინტერესებული არიან როგორმე ჩაიწერონ ქულები დღევანდელ გათამაშებაში და სრულიადაც არ ზრუნავენ ხვალინდელი დღისათვის, რომელიც ესოდენ საჭიროა როგორც მათთვის, ისე ქართული ფეხბურთისათვის.

მოკლედ განვიხილოთ განვლილი რესპუბლიკური პირველობის შედეგები. ეს იყო ყველაზე მასობრივი შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გუნდები. თუ ვილაპარაკებთ მის მასშტაბებზე, საკმარისია ითქვას, რომ ჩატარებულ იქნა 841 შეხვედრა. ფეხბურთელებს ამ პერიოდში საშუალოდ მოუხდათ 20-27 მატჩში თამაში. ეს ციფრები მეტყველებენ იმაზე, რომ დატვირთვა ჩვენს საფეხბურთო კოლექტივებს საკმარისზე მეტი ჰქონდათ.

რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებისათვის პირველ ჯგუფში იბრძოდა 20 გუნდი. ეს წოდება კვლავ მოიპოვა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივმა (მწვრთნელი ს. ხიხარულიძე). გუნდში წარმოებდა სისტემატური საწვრთნელი მეცადინეობა. იგი განახლებულ იქნა ახალგაზრდა მზარდი მოთამაშეებით, რამაც შესაფერისი შედეგიც გამოიღო. გუნდმა თანაბარი ძალით ჩაატარა მთელი გათამაშება და დამსახურებულად გამოვიდა პირველ ადგილზე.

მეორე ადგილი ჩემპიონატში დაიკავა ქუთაისის „დინამომ“ (მწვრთნელი უ. სალდაძე), მესამე — მახარაძის „კოლმეურნემ“ (მწვრთნელი ნ. გოგლიძე). რა თქმა უნდა, ასეთი წარმატება შემთხვევითი არაა. ეს კოლექტივები სხვებზე უკეთესად მოემზადნენ პირველობისათვის.

მათგან საწინააღმდეგოდ სეზონისათვის სუსტად მოემზადნენ „სპარტაკი“ (თელავი), „ოდიში“ (ზუგდიდი), „განთიადი“ (გორი), ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი), რომელთა ადგილებს პირველ ჯგუფში მომავალ წელს დაიკავებენ „სპარტაკი“ (ცხაკაია) და ლენინის სახ. შახტის გუნდი (ტყიბული).

მეორე ჯგუფის გუნდებს შორის დაბალ დონეზე ჩაატარეს შეჯიბრება „განთიადმა“ (წყალტუბო), „კოლმეურნემ“ (გალი), „ლოკომოტივმა“ (ხაშური) და „კოლმეურნემ“ (ქარელი), რომელთა ნაცვლად მეორე ჯგუფში შეყვანილი არიან „შირაქი“ (წითელწყარო), ლაითური (მახარაძის რაიონი), „კოლმეურნე“ (მაიაკოვსკი) და თეთრი წყაროს რაიონის ნაკრები გუნდი.

როგორც ითქვა, რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების რაოდენობა იზრდება, ოფიციალურ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა მატულობს, მაგრამ თუ ვილაპარაკებთ ფეხბურთელთა თამაშის ოსტატობაზე, იგი ჯერ კიდევ ერთობ არადამაკმაყოფილებელია.

უპირველეს ყოვლისა ვილაპარაკოთ რეზერვებზე, ოსტატთა შესაფერის ცვლაზე.

რაშია საქმე? რატომაა, რომ წლების განმავლობაში გვიხდება ლაპარაკი ერთიდაიგივე თემაზე, რომ საჭიროა გავაუმჯობესოთ თამაშის ტექნიკა, გავამდიდროთ ტაქტიკა, ავამაღლოთ ქართული ფეხბურთის კლასი.

ვფიქრობთ, ამაში პირველ ყოვლისა დამნაშავენი არიან მწვრთნელები. ჩვენი ნაკლოვანებების ძირითადი მიზეზია სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის არადამაკმაყოფილებელი დონე როგორც მოზრდილთა გუნდებში, ისე ბავშვთა და ჭაბუკთა შორის.

ჩვენი მწვრთნელები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში ცოტა, ერთობ ცოტა ადგილს უთმობენ ინდივიდუალურ მუშაობას ახალგაზრდა ფეხბურთელებთან. მიუხედავად ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის განკარგულებისა, არც ერთ სტადიონზე არ არის დამხმარე მოწყობილობა. ყველასათვის ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოთამაშეთა ტექნიკური სრულყოფისათვის ისეთ საფეხბურთო ინვენტარს, როგორიცაა ხის კედელი, ფარები, რგოლები, დგარები ბურთების ჩამოსაკიდებლად და სხვა, მაგრამ მის მოწყობაზე არავინ იწუხებს თავს, თუმცა ეს არც თუ ისე ძნელი საქმეა.

მწვრთნელები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში არ ცდილობენ ტექნიკური ელემენტების ათვისება დაუახლოვონ სათამაშო პირობებს, თავს არ იწუხებენ იმისათვის, რომ საწვრთნელი პროცესი მაქსიმალურად ჰგავდეს ნამდვილი თამაშის ვითარებას. თამაშის კლასის ამაღლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუ ფეხბურთელები არ შევაჩვიეთ შრომისმოყვარეობას, დიდ დატვირთვას. ფეხბურთელისათვის საწვრთნელი მეცადინეობა უნდა იყოს არა მოსაწყენი და მომაბეზრებელი საქმე, არამედ საინტერესო, მრავალფეროვანი და შემოქმედებითი ინიციატივით აღსავსე პროცესი. მწვრთნელიცა და ფეხბურთელიც თვითეულ ვარჯიშს უნდა მოეპყრან მეტი კეთილსინდისიერებით, მეტი მონდომებით.

გაცილებით იოლია ის, რასაც ახლა აკეთებს ჩვენი მწვრთნელების უმრავლესობა: გუნდს გაყოფენ ორ ნაწილად, თვითონ ხელში უჭირავთ საასტვენი და მიმდინარეობს ე. წ. ორმხრივი თამაში, რომელიც ხშირად შორსაა დგას ნამდვილი სერიოზული წვრთნისაგან.

თამაშის ტექნიკა აიწევა მხოლოდ მაშინ, როცა მწვრთნელი შეძლებს ჩაუნერგოს ფეხბურთელს მეტი სიყვარული შრომისადმი, დამოუკიდებელი მუშაობისადმი. კვირაში სამჯერ 1,5 საათი უმიზნო რბენა მინდორზე, რომელსაც ზოგიერთი მწვრთნელი ვარჯიშს უწოდებს, საქმეს წინ ვერ წაწევს.

რა მოგვცა ახალი განვლილმა სეზონმა ტაქტიკის მხრივ? თითქმის არაფერი. ჩვენს გუნდებში ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით ტაქტიკურ მოქნილობას, მოთამაშეთა მიზანშეწონილ განლაგებას. ისეთ მდგომარეობებშიც კი, რომელსაც ფეხბურთში სტანდარტულს უწოდებენ (საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები, კუთხური მოწოდება), ჩვენი ფეხბურთელები მოქმედებენ ერთფეროვნად, ყოველგვარი მოულოდნელობის, ორიგინალობისა და სიახლის გარეშე.

ყველაფერი წესრიგში არაა აღმზრდელობითი მუშაობის მხრივაც. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფორმალურ კრებებს, სადაც გუნდი იხილავს მსაჯის მიერ მინდვრიდან გაძევებული მოთამაშის საკითხს, სხვა მუშაობა ამ მიმართებით მივიწყებულია. განვლილ სეზონშიც აუარებელი იყო არა მარტო უბრალო დისციპლინის დარღვევის, არამედ აშკარა და დაუფარავი ხულიგნობის შემთხვევები. თავაშვებულ სპორტსმენებთან ბრძოლა პირველ ყოვლისა უნდა წარმოებდეს თვით კოლექტივში და არა რესპუბლიკური სექციის დისციპლინარულ კომისიაში.

ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ყოვლად უმსგავსო, დაუშვებელი საქციელის მქონე სპორტსმენები. ესენია: ნიჟერაძე, ცხვირაშვილი, მუშკუდიანი (ზესტაფონი), პირაევი (გარდაბანი), შედანია (ზუგდიდი), მთივლიშვილი, ხანიაშვილი (გურჯაანი), თოფაძე (ტყიბული), ქიარიმოვი (ბოლნისი) და სხვანი. ასეთთა მიმართ სასჯელის სათანადო ზომა მიღებულ იქნა, მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნებოდა კოლექტივებს რომ დროზე ეზრუნათ მათ გამოსწორებაზე. მაშინ დასჯაც აღარ იქნებოდა საჭირო.

იყო შემთხვევები, როცა მაყურებელთა ცალკე ჯგუფები ხელს უშლიდნენ შეჯიბრების ნორმალურ მსვლელობას მარნეულში, ზესტაფონში, წალკაში, ახმეტაში და სხვაგან. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ მეტი უნდა იზრუნოს, რათა სტადიონებზე მატჩის დროს სრული წესრიგი სუფევდეს.

ჩვენ მეტი წილი დავუთმეთ ლაპარაკს ნაკლოვანებათა შესახებ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რესპუბლიკის გუნდებში არ არიან კარგი პერსპექტივის მქონე ახალგაზრდა ფეხბურთელები. ასეთები, რა თქმა უნდა, არიან, მაგრამ მათთან მუშაობა უნდა წარიმართოს ახლებურად, დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე. მხოლოდ მაშინ შევძლებთ მივიღოთ ოსტატთათვის შესაფერისი ცვლა, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, რომ ფეხბურთი ჩვენს რესპუბლიკაში აღმავლობის გზაზე დგას.

## ლანჩხუთელები პირველ ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრდა [illegible] რესპუბლიკური პირველობა ფეხბურთში. გათამაშების გადამწყვეტი მატჩი შედგა ლანჩხუთში ადგილობრივ და მახარაძის გუნდებს შორის.

ამ შეხვედრისათვის მასპინძლებს პასივში არც ერთი ქულა არ ეწერათ, ხოლო მათ მოწინააღმდეგეს დაკარგული ჰქონდა 1 ქულა. ამრიგად, სტუმრებს პირველი ადგილის დაკავებისათვის აუცილებლად უნდა მოეგოთ მატჩი მაშინ, როცა მასპინძლებს სააამისოდ ყოფნიდათ ფრეც.

მატჩს სჯიდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. ჩხატარაშვილი. მიუხედავად წვიმიანი, ტალახიანი მინდვრისა, თამაში თავიდან ბოლომდე ჩატარდა სწრაფ ტემპში და დაძაბულ ბრძოლაში. დასაწყისში მახარაძელებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის საშუალება, მაგრამ საჯარიმო დარტყმიდან გაგზავნილი ბურთი მოხვდა ძელს და შემდეგ მეკარეს. შემდგომში მასპინძლებმა ხელთ აიღეს ინიციატივა, მაგრამ ნარიაშვილმა ორჯერ ზედიზედ ვერ გამოიყენა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მახარაძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ხალუქვაძემ კარგი მდგომარეობიდან ააცილა ბურთი კარს. შემდგომში განმეორდა პირველი ტაიმის ისტორია — შეტევაზე კვლავ ლანჩხუთელები გადავიდნენ და იმავე ნარიაშვილმა კვლავ ვერ შეძლო ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება.

90-წუთიანი დაძაბული ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. ამ ქულამ ლანჩხუთის „კოლმეურნეს“ (მწვრთნელი ბ. ჩიტაია) მოუტანა პირველი ადგილი.

## სპორტის ორ სახეობაში

ხელსაწყოთა მშენებლობისა და წარმოების საშუალებათა თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოეწყო შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

მაგიდის ჩოგბურთში ინსტიტუტის ჩემპიონის სახელი დაუმარცხებლად მოიპოვა თ. კილასონიძემ. მეორე-მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ვ. კოლესნიკოვი და მ. ბახტაძე.

ჭადრაკში ჩემპიონობის ბედი გადაწყდა დამატებით მატჩში პირველ-მეორე ადგილებზე გამოსულ ა. ჩიქოვანსა და გ. გელაშვილს შორის, რომელიც პირველის გამარჯვებით დამთავრდა. ტურნირის ოთხმა მოჭადრაკემ პირველად შეასრულა II თანრიგის ნორმა.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გასული წლის ჩემპიონის გ. გეგელიასი და პ. ბედმანის არასპორტულ საქციელს. მათ შეჯიბრების პირველ ნახევარში განიცადეს ორ-ორი დამარცხება და თვითნებურად გამოეთიშნენ ტურნირს.

**გ. გელაშვილი**







## ცდები მიმდინარეობს აქვარიუმში

### თარჯრბენი, კალათბურთი, ჩოგბურთი...

— რა არის აქ მაინცდამაინც გასაკვირი? — იტყვის მკითხველი. ჩვეულებრივი ფოტოებია! მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ ეს ფოტოები ჩვეულებრივი არაა. იგი გადაღებულია... წყალში!

მასაჩუზეტის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (აშშ) წარმოებდა ფიზიოლოგიური ექსპერიმენტების მთელი რიგი სერია წყალქვეშ, კერძოდ, 4 მეტრის სიღრმეზე ირკვევდნენ სპორტსმენის მდგომარეობას სხვადასხვა ვარჯიშის შესრულების დროს. სპორტსმენები ყოველგვარი დამხმარე აპარატურის გარეშე წყალქვეშ 1-1,5 წუთს იმყოფებოდნენ.

ცდებმა დაადასტურეს, რომ წყლის ფსკერზე რბენის დროს სპორტსმენის მარცხენა ხელი წინ მიდის მარცხენა ფეხთან ერთად და არა მარჯვენასთან, როგორც ეს ხმელეთზეა. თარჯზე გადასვლა ხდება უფრო ადვილად, მაგრამ ძირს დაშვება გაცილებით ძნელია.

„წყალქვეშა“ მოკრივეების აზრით ძალიან ადვილია მოწინააღმდეგისათვის ნოკდაუნის გაკეთება, მაგრამ თითქმის შეუძლებელია მისი ნოკაუტირება.

„ფიზკულტურა ი სპორტი“.

## ჩარლზისა და მონტუორის მეტოქე

— როდესაც ცნობილმა იტალიურმა კლუბმა „იუვენტუსმა“ 1956 წელს თავისი ქვეყნის ჩემპიონატში დიდი მარცხი განიცადა, მწვრთნელმა ეს უცხოელი „ვარსკლავების“ ნაკლებობით ახსნა. დატრიალდა გუნდის შეფი — საავტომობილო ქარხანა „ფიატის“ პატრონი და შემდგომი სეზონის დასაწყისისათვის შეიძინა სამი განთქმული ფეხბურთელი: ცენტრალური თავდამსხმელი ჯონ ჩარლზი (უელსი), მარჯვენა გარემარბი კურტ ჰამრინი (შვეცია) და მარცხენა შუამარბი ომარ სივორი (არგენტინა). მათი წყალობით „იუვენტუსი“ იტალიის ჩემპიონი გახდა.

„იუნვენტუსში“ მეორე სეზონია თამაშობს 18 წლის ბრუნო ნიკოლე. მხოლოდ ჯ. ჩარლზის ავადმყოფობის გამო მიენდო მას ცენტრალური თავდამსხმელის პოსტი და ნიკოლემ იმდენად ძლიერად ითამაშა, რომ ჩარიცხული იქნა ეროვნულ ნაკრებში საფრანგეთთან მატჩში. ამ პოსტის მეორე პრეტენდენტი იყო სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის გამოჩენილი ოსტატი მ. მონტუორი, რომელმაც გასულ წელს მიიღო იტალიის მოქალაქეობა და ამიტომ ნაკრებში თამაშის უფლებაც აქვს. იტალიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ვიანიმ გაბედა საფრანგეთთან ნიკოლეს გამოყვანა, რომელმაც ჩინებულად ჩაატარა შეხვედრა და ორი ბურთიც გაიტანა (მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2).

## არგენტინა იწყებს ფეხბურთელთა იმპორტს

არგენტინაში ცხარე დისკუსია მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატში ეროვნული ნაკრების მარცხის გამო. ამ ქვეყნის ყველაზე ძლიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები გაყიდულ იქნენ იტალიაში და ესპანეთში, ამიტომ მწვრთნელის ჯ. სტაბილეს სიტყვით ნაკრები „სისხლისაგან დაიცალა“. დისკუსიაზე გამოსული მწვრთნელები მოითხოვენ გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელების (ანჯელილო, გრილიო, სივორი, კუკიარონი) იტალიიდან დაბრუნებას და არგენტინული ფეხბურთის გაახალგაზრდავებას უცხოელი „ვარსკვლავების“ მოზიდვის ხარჯზე.

როგორც ცნობილი კლუბების „რივერ პლატას“ და „ბოკა ჯუნიორსის“ მენაჯერებს მიაჩნიათ, არგენტინის ფეხბურთს ესაჭიროება „ახალი სისხლის შესხმა“. ამ მხრივ მალე გადაიდგმება პრაქტიკული ნაბიჯები. პირველ რიგში განზრახულია რამდენიმე განთქმული ფრანგი ფეხბურთელისა და შვეციის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელის, 23 წლის აგნე სიმონსონის ყიდვა.

## ფეხბურთის ახალი ამბები

## მოედნიდან აძევებენ დი სტეფანოს

თურქი ფეხბურთელები საყოველთაოდ ცნობილი არიან თავიანთი უხეში თამაშით. ამ მხრივ მათ ბევრად არც ესპანელები ჩამოუვარდებიან. ამიტომ მადრიდის „რეალისა“ და სტამბოლის „ბეშიქტაშის“ შეხვედრა ევროპის ქვეყნების ჩემპიონების თასზე, რომელიც მადრიდში გაიმართა, უფრო ამერიკულ რეგბსა ჰგავდა, ვიდრე თანამედროვე ფეხბურთს. დროდადრო მოედანზე ნამდვილი კრივი იმართებოდა, რომლის აღკვეთას მსაჯი ამაოდ ცდილობდა. ბოლოსდაბოლოს მსაჯი იძულებული გახდა მოედნიდან გაეძევებინა „რეალის“ ცენტრალური თავდამსხმელი ა. დი სტეფანო და თურქების მარცხენა მცველი მუნირი.

## ფეხბურთის მოედნებზე

### საფრანგეთი

საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატის ლიდერმა „რესინგმა“ მორიგ, XVIII ტურში დამარცხება განიცადა „სოშოსთან“ შეხვედრაში — 0:2, ხოლო მეორე ლიდერმა „ნიმმა“ ფრედ დაამთავრა მატჩი „ანჟესთან“ — 1:1.

მიუხედავად ამისა, გათამაშებას კვლავინდებურად ლიდერობს „რესინგი“ — 25 ქულა. 24 ქულით მეორე ადგილზეა „ნიმი“, 23 ქულა აქვთ „ნიცასა“ და „რეიმსს“.

### ბელგია

ბელგიის ჩემპიონატის X ტურის ცენტრალურ მოვლენას წარმოადგენდა მატჩი ბელგიის ჩემპიონ „სტანდარტსა“ (ლიეჟი) და „ანდერლეხტს“ შორის. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა „ანდერლეხტის“ გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ამ გამარჯვების შემდეგ „ანდერლეხტს“ აქვს 15 ქულა. ლიდერს 1 ქულით ჩამორჩებიან „[illegible]ტი“, „ლა განტუაზი“, „[illegible]“ და „ანტვერპენი“. „სტანდარტს“ აქვს 12 ქულა.

### ავსტრია

ავსტრიის პირველობის XI ტურში ლიდერებმა ჩაიწერეს მორიგი გამარჯვებები და მხოლოდ „ვიენამ“ დაამთავრა შეხვედრა ფრედ.

დღეისათვის მდგომარეობა ავსტრიის საფეხბურთო ჩემპიონატის ცხრილში ასეთია: „რაპიდი“ — 19 ქულა, „ვინერ სპორტკლუბი“ — 18, „ვიენა“ — 15, „სიმერინგი“ — 13, „აუსტრია“, ვაკ-ი—12 და ა. შ.

### იტალია

ამ ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში VIII ტურის შემდეგ ლიდერობდნენ „ფიორენტინა“ და „მილანი“. განვლო კიდევ ორმა ტურმა და „მილანმა“ 1 ქულით გაასწრო თავის მთავარ კონკურენტს. ახლა „მილანს“ 20 შესაძლებლიდან აქვს 15, ხოლო „ფიორენტინას“ — 14 ქულა.

### ესპანეთი

აქ დამთავრდა XII ტურის მატჩები, სადაც ლიდერთა ჯგუფიდან „ბარსელონამ“ განიცადა დამარცხება „სარაგოსასთან“ შეხვედრაში — 1:2, ხოლო „ატლეტიკო მადრიდმა“ — სევილიის გუნდთან — 2:3. მხოლოდ „რეალ მადრიდმა“ ჩაიწერა გამარჯვება „გრენადასთან“ შეხვედრაში—2:0.

პირველობის ცხრილი ახლა ასე გამოიყურება: „რეალ მადრიდი“ — 21, „ბარსელონა“ — 18, „ატლეტიკო მადრიდი“ — 15.

რედაქტორი ი. უგულავა.

## ტელეხედვის წინააღმდეგ

ინგლისის საფეხბურთო ფედერაციამ 6 თვით აკრძალა ყოველგვარი მატჩის ტრანსლაცია ტელეხედვით. უკანასკნელი მატჩი, რომელიც ტელემაყურებლებმა იხილეს სახლიდან გამოუსვლელად, იყო შეხვედრა ინგლისისა და უელსის ნაკრებ გუნდებს შორის. შემდეგ მატჩს, რომელსაც ინგლისელი ტელემაყურებლები ნახავენ, ეს იქნება ფინალური მატჩი ინგლისის თასზე 1959 წლის 2 მაისს.

ამ სასტიკი „სატელევიზიო ბლოკადის“ მიზეზი ერთია: მაყურებელთა რაოდენობამ სტადიონებზე მკვეთრად იკლო.


16 დეკემბერი 16

საერთაშორისო შეხვედრა







კლასიკურ ჭიდაობაში

შვეცია — საქართველო

დასაწყისი საღამოს 20 ს.





14, 15, 16 დეკემბერი

დილმის სასროლეთი

შეჯიბრება სროლაში

მონაწილეობენ: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები





გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.





საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06483